პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 12

2014 წ. "20" 06

ქ.თბილისი

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერს (საიდენტიფიკაციო კოდი: 417880092) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ივნისის №3 სხდომის ოქმის მე-6 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახაბერ ერაძე

მდივანი
ლალი ღოღელიანი

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	100
2	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	მესამე	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის პროფესიული კვალიფიკაცია	35
4	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150
5	ოფისის მენეჯერი (მდივან–რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან–რეფერენტი)მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60